ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 228 (4738)

1972 წ. 18 ნოემბერი, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

50

თბილისის საფარიკაო დარბაზში მიმდინარეობს სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების I მეგობრული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოფარიკავეთა შეჯიბრება.

* * *



სურათზე: დაშნით მოასპარეზეთა მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## „ლოკომოტივმა" გეგმა შეასრულა

„ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს ფიზკულტურულმა კოლექტივებმა ნაყოფიერად იმუშავეს: ოქტომბრის რევოლუციის 55 წლის იუბილეს ალსანიშნავად ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებანი.

საზოგადოებას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადება დაგეგმილი არ ჰქონია, მაგრამ ეს ნორმატივი ერთმა რკინიგზელმა სპორტსმენმა შეასრულა.

12 სპორტის ოსტატის ნაცვლად მომზადდა 15, 26 სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნაცვლად 44, 105 პირველთანრიგოსნის მაგიერ 143.

სხვა თანრიგების ნორმატივები 4261 ფიზკულტურელმა შეასრულა (გეგმა — 4255).

710 საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა და მწვრთნელის, აგრეთვე, 590 მსაჯის მაგიერ შესაბამისად მომზადდა 714 და 592.

თ. კაპანაძე,
„ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.

## [illegible]-72

● მოსკოვი, 15 ნოემბერი. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩები შვეციის „ბრიუნესისა" და ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდებს შორის 29 ნოემბერს (ევლეში) და 5 დეკემბერს (მოსკოვში) გაიმართება.

● ბუდაპეშტი, 16 ნოემბერი. სსრ კავშირის 1971 წლის ჩემპიონი — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის წყალბურთელთა გუნდი თავის პირველ შეხვედრას ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში ბელგრადის „პარტიზანთან" ჩაატარებს („პარტიზანი" ორჯერ — 1966 და 1967 წლებში ფლობდა ამ საპატიო ჯილდოს). იმავე დღეს „ბუდაპეშტი" ბუქარესტის „დინამოს" შეხვდება. ყოველივე ეს კენჭისყრამ გადაწყვიტა. ფინალისტთა ყველა მატჩი ბუდაპეშტში მოეწყობა. აი, დანარჩენი შეხვედრების კალენდარიც: 2 დეკემბერი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი — „დინამო", „ბუდაპეშტი" — „პარტიზანი"; 3 დეკემბერი. „დინამო" — „პარტიზანი", „ბუდაპეშტი" — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (თასის შარშანდელ გათამაშებაში მოსკოველმა წყალბურთელებმა III ადგილი დაიკავეს).

## აღმზრდელთა სახელს არ არცხვენენ

ვოროშილოვგრადის № 45 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აგერ უკვე 50 წელია ამზადებს კადრებს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი საწარმოს — ოქტომბრის რევოლუციის სახელობის თბომავალმშენებელი ქარხნისთვის. კურსდამთავრებულები მონდომებით მუშაობენ და აღმზრდელთა სახელს არ არცხვენენ.

ეს სასწავლებელი სპორტული მიღწევებითაც ცნობილია. ჰყავთ პირველთანრიგოსნები და სპორტის ოსტატობის კანდიდატები, ქალაქისა და ოლქის ჩემპიონები სხვადასხვა სახეობაში. ფეხბურთელთა და კალათბურთელთა ტურნირები მუდამ მასობრიობით გამოირჩევა. 12 სპორტულ სექციაში ასობით მოსწავლეა გაერთიანებული. აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს.



სურათზე: მეცადინეობენ სასწავლებლის ტანმოვარჯიშეები.

რ. აზრიელის ფოტო (საკდესი).

## 22 პრეტენდენტი

გუშინწინ ბაქოში, ფ. ძერჟინსკის სახელობის კლუბში, საზეიმოდ გაიხსნა მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. გათამაშდება ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი, აგრეთვე, მსოფლიო პირველობის ახალი ციკლის საზონათშორისო ტურნირის სამი საგზური. მონაწილეთაგან მხოლოდ დიდოსტატ მ. ტალს (რიგა) არ სჭირდება ფიქრი ამ საგზურზე: იგი საზონათშორისო ტურნირში პერსონალურადაა მიწვეული.

საზეიმო ცერემონიალის დასასრულს მონაწილეთა წილისყრა მოეწყო. სატურნირო ცხრილი ასე შეივსო: 1. საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო), 2. ოსტატი კ. გრიგორიანი (ერევანი), 3. ტალი, 4. დიდოსტატი ე. გუფელდი (თბილისი), 5. ოსტატი ლ. ალბურტი (ოდესა), 6. ოსტატი ვ. ზილბერშტეინი (ორსკი), 7. საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი), 8. დიდოსტატი ვ. სავონი (ხარკოვი), 9. ოსტატი ი. რაზუვაევი (მოსკოვი), 10. ოსტატი მ. მუხინი (ალმა-ათა), 11. ოსტატი ი. ბალაშოვი (მოსკოვი), 12. დიდოსტატი ს. ფურმანი (ლენინგრადი), 13. დიდოსტატი ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), 14. დიდოსტატი ლ. შამკოვიჩი, 15. დიდოსტატი დ. ბრონშტეინი (ორივე — მოსკოვი), 16. ოსტატი ვ. ჟიდკოვი (კიევი), 17. დიდოსტატი ე. ვასიუკოვი (მოსკოვი), 18. ოსტატი ა. კაპენგუტი (მინსკი), 19. დიდოსტატი რ. ხოლმოვი (მოსკოვი), 20. საერთაშორისო ოსტატი გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), 21. დიდოსტატი ა. ლეინი (მოსკოვი), 22. ოსტატი ნ. რაშკოვსკი (კურგანი).

ჩემპიონატი ერთ თვეს გასტანს.

## დაწინაურდა კონოპლიოვა



ტოლიატიში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი, IX ტურში მ. შულმა (ლვოვი) სძლია ა. მკრტჩიანს (ტაშკენტი), ლ. შადურამ (კურსკი) — მ. რანიკუს (ტალინი), ლ. სემიონოვამ (კიევი) — ე. ბაჟინას (ლენინგრადი).

ყაიმით დასრულდა ორი შეხვედრა: ლ. იდელჩიკი (ხარკოვი) — ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი) და ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ვ. ბორისენკო (ტაშკენტი). ხუთი პარტია გადაიდო.

X ტურში პირველი შედეგები მხოლოდ თამაშის მეხუთე საათზე გამოჩნდა. ყველაზე ადრე ლიდერმა ა. კისლოვამ (ომსკი) მოუგო ბაჟინას.

საერთო ყურადღება მიიქცია ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეების ა. ეპშტეინისა (გორკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) შეხვედრამ. ლევიტინამ დებიუტში პაიკი შესწირა და ძლიერი იერიში განავითარა. ეპშტეინის პოზიცია ყოველ სვლაზე უარესდებოდა. როცა დიდი მატერიალური ზარალი გარდუვალი აღმოჩნდა, ეპშტეინმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა.

თ. ბელოვამ (ფსკოვი) მოუგო ლ. შჩერბინას (სევასტოპოლი), ო. ანდრეევამ (ხარკოვი) — მ. სამულს (ტალინი), კოზლოვსკაიამ — შადურას. ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი) ცაიტნოტში მოგების შანსი ვერ გამოიყენა და კონოპლიოვამ ყაიმს მიაღწია. სხვა პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებამ, რაც X ტურის შემდეგ მოეწყო, სატურნირო ცხრილი მთლიანად მაინც ვერ შეავსო: ოთხი გადადებული პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა. როგორც იქნა, კონოპლიოვამ დაასრულა ბელოვასთან III ტურიდან გადადებული პარტია. მან გაიმარჯვა და 6,5 ქულით დაწინაურდა. უახლოეს მეტოქეს იგი ნახევარი ქულით უსწრებს.

ეტლების საინტერესო ენდშპილში იყო გადადებული ლევიტინა — კისლოვას პარტია. ლევიტინამ უზუსტო სვლა ჩაიწერა და კისლოვას პარტიის გადარჩენა შეეძლო, მაგრამ შეცდა და დამარცხდა.

ლ. საუნინამ (სვერდლოვსკი) მოუგო ბელოვას, სამულმა — შჩერბინას, ანდრეევა თამაშის განუახლებლად დანებდა ე. რუბცოვას (მოსკოვი). ყაიმით დასრულდა ეპშტეინ—მედიანიკოვას, რუბცოვა — შულის, მკრტჩიან — სემიონოვას შეხვედრები. გათამაშდა VII ტურიდან გამოტოვებული იდელჩიკ—ბორისენკოს პარტია, რომელიც ეტლების დაახლოებით თანაბარ ენდშპილში გადაიდო.

## დიდი მეგობრობა

პრაღა, 15 ნოემბერი. „ერთობლივი გზა" — ესაა სიმბოლური სახელი გამოფენისა, რომელიც ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტულ ურთიერთობაზე გვიამბობს. გამოფენა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება, დღეს გაიხსნა პრაღის ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმში.

გამოფენის ერთ-ერთი განყოფილება გვაცნობს ჩეხოსლოვაკიის პროგრესულ სპორტსმენთა ზრუნვას საბჭოთა ფიზკულტურელებთან მეგობრული კავშირის დამყარებისთვის, გვიამბობს მეორე სამამულო ომის პერიოდზე, როცა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ბევრმა სპორტსმენმა თავი შესწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

განსაკუთრებით მდიდარია ექსპოზიციის ის ნაწილი, რომელიც მნახველებს აცნობს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა მეგობრობას ომის შემდგომ წლებში.

გამოფენაზე ნახავთ მოსკოვისა და პრაღის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩიდან იულიუს ფუჩიკის რეპორტაჟის ფაქსიმილეს. როგორც ცნობილია, ფუჩიკი დაესწრო ამ მატჩს, რომელიც მოსკოვში ჩატარდა 1935 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზაფხულზე ვორონეჟში...

### ორი ქალაქის მძლეოსანთა მეგობრობა

სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი მძლეოსნობაში სოხუმის სპორტსკოლის აღსაზრდელთა და ვორონეჟის „ლოკომოტივს“ შორის. ორდღიან ასპარეზობაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 22464 ქულა. სტუმრებმა 16303 ქულა მოაგროვეს.

სამხტომში წარმატებით გამოვიდა ვორონეჟელი ნ. გრიგორიევი — 16,06 მ. მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. სტუმრებმა თავი ისახელეს, აგრეთვე, სიმაღლეზე ხტომაში: გოგონათა შორის I და II ადგილები დაიკავეს ნ. ბოჟენკომ და ლ. ვეჩერკევიჩმა. ორივემ 168 სმ დაძლია. სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ვორონეჟელ ლ. რიჟიკოვას.

სოხუმელებმა ტ. ბელოვამ და რ. საჩაიამ გაიმარჯვეს 100 და 200 მეტრზე რბენაში. ხუთჭიდში გუნდს 6000 ქულა შესძინეს ე. კალაშნიკოვამ და ლ. ხორიშკომ (ორივე — სოხუმი).

ბირთვის მკვრელ ჭაბუკთა შეჯიბრება მოიგო სოხუმელმა თ. წულუკიძემ.

სოხუმელი სპორტსმენები საპასუხო მატჩის ჩასატარებლად გაზაფხულზე ესტუმრებიან ვორონეჟელებს.

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

• • •





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: 200 მეტრზე რბენის მომენტი; ლ. რიჟიკოვა ასპარეზობისას.

ავტორის ფოტოები.

# სტარტზე ყველას იწვევენ




მშდ ახალმა კომპლექსმა თბილისის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში კარგად მოიკიდა ფეხი. საქალაქო და შიდასაკოლექტივო სპორტულ ბაზებზე ხშირად ეწყობა ტურნირები, მაგრამ საქალაქო შეჯიბრებები მაინც სულ სხვაა. ამას წინათ ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით სტალინის სახელობის სანაპიროზე გამართულ მძლეოსნურ კროსებში 15 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშანზე ნორმატივები 3540 მონაწილემ ჩააბარა.

ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით კვირას მშდ ნორმატივების ჩასაბარებლად უფრო მასობრივი ღონისძიება გაიმართება. მძლეოსნობაში შეჯიბრება (100 მეტრზე რბენა, სიგრძეზე ხტომა, ხელყუმბარის ტყორცნა) „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“, „ცისარტყელის“, „სინათლის“, მაუდ-კამვოლის კომბინატის, ლენინის სახელობის სტადიონებზე გაიმართება. 300, 500, 800 და 1000 მეტრზე კროსს ლისის ტბის მიდამოები უმასპინძლებს. ცურვაში ნორმატივების ჩამბარებლები ძალას საქართველოს სპორტკომიტეტის, „შრომითი რეზერვებისა“ და „ლოკომოტივის“ აუზებში სცდიან. მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში შეჯიბრებები დოსააფის ორჯონიკიძის, კალინინის, კიროვის, ლენინის, 1 მაისის, ოქტომბრის რაიონული კომიტეტებისა და ავჭალის სასროლეთებზე გაიმართება. ტანმოვარჯიშეებს სტალინის სახელობის სანაპიროზე მდებარე, 26 კომისრის რაიონის სპორტსკოლის, „დინამოს“, „სინათლისა“ და უნივერსიტეტის დარბაზები მოემსახურება. ძალოსნების განკარგულებაში იქნება ლენინის სახელობის დარბაზი. მოეწყობა ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით თბილისი—კუს ტბა — უძო — წყნეთი. ლაშქრობა სტარტს აიღებს ვაკეში № 8 და № 9 ტროლეიბუსების, № 21 ავტობუსის ბოლო გაჩერებაზე.

ნორმატივების ჩაბარება ყველა ბაზაზე 11 საათზე დაიწყება.

# ფეხბურთის მინდორზე — სიმინდი, ხელბურთის მოედანზე — გალახი

— ესეც ასე! — შესძახა აბაშის მექანიკური ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარემ ს. კიზირიამ და კმაყოფილმა კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი თავის ნამოღვაწარს, შემდეგ კი ნაშრომი გაზეთ „განახლებული აბაშის“ რედაქციაში გააქანა.

— ესეც ასე! — გაიხარა კიზირიას მოადგილემ გ. გვაზავამ, როცა თავისი უფროსის წერილი „საერთო სახალხო საქმე“ 18 აპრილს „განახლებულ აბაშაში“ წაიკითხა.

... „დადგენილებამ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო კომპლექსის შემოღების შესახებ დიდი გამოხმაურება გამოიწვია ჩვენი ქარხნის მშრომელებში. ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ მშდ ახალი კომპლექსი ხელს შეუწყობს მათს მორალურ და სულიერ ჯანმრთელობას, შრომითი აქტივობის მრავალი წლის მანძილზე შენარჩუნებას, მომზადებას ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის...

... ეს გადაწყვეტილება გახდა ჩვენი მუშაობის ძირითადი დევიზი: მშდ სამკერდე ნიშანი — მშობლიური ქარხნის ყველა მშრომელს!..

... ჩვენმა ძირეულ-ფიზკულტურულმა კოლექტივმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის საქმეში...

... ჩვენი ძირეულ-ფიზკულტურული კოლექტივი თავის რიგებში ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ნახევარზე მეტს აერთიანებს...“ — (სტილი ყველგან დაცულია) ვკითხულობთ ამ წერილში.

ხსენებული წერილის გამოქვეყნებიდან ნახევარ წელიწადზე მეტი გავიდა. ვიფიქრეთ, რომ ქარხნის (დირექტორი შ. ნიორაძე) ფიზკულტურულ კოლექტივს ახლა უკეთ ექნებოდა საქმე და გადავწყვიტეთ ვწვეოდით.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა უმეტესობას მართლაც ახალგაზრდობა შეადგენს, მაგრამ ფიზკულტურული მუშაობა საწარმოში ჩამკვდარია. ფეხბურთელთა სექციის ჟურნალში მხოლოდ 15 კაცის გვარი ამოვიკითხეთ, ქარხნის სტადიონი კი დიდი ხანია გადახნულია.

ქარხნის დირექტორის თაოსნობით მუშა-მოსამსახურეთა და ფიზკულტურელთა კოლექტივის საერთო კრებას ფეხბურთის მინდორზე სიმინდის დათესვა გადაუწყვეტია. სიტყვა საქმედ უქცევიათ.

— მოსავალი, იცოცხლეთ, კარგი იყო, მაგრამ რა გამოვიდა, ფიზკულტურელებს ამით არაფერი გვისარგებლია, — გულისტკივილით გვითხრა გვაზავამ. არადა, ქარხნის ფეხბურთელებმა წინა წლებში რაიონის გარდამავალი თასი ხუთჯერ დაისაკუთრეს...

ქარხნის ფრენბურთელები და კალათბურთელებიც ერთ-ერთი უძლიერესნი იყვნენ რაიონში. ახლა ამ სახეობებში ჟურნალის მიხედვით სულ შვიდი-რვა კაცი ვარჯიშობს. ფრენბურთელებს, კალათბურთელებსა და ხელბურთელებს კარგი კომპლექსური მოედანი აქვთ, მაგრამ შეჯიბრებებში აღარ მონაწილეობენ, აღარც ვარჯიშობენ. მოედანი ბალახმა დაფარა.

მძლეოსნობის, ველოსპორტის, ლელობურთისა და ჭადრაკის სექციებში მომეცადინეთა ჟურნალები საერთოდ ცარიელი აღმოჩნდა.

ქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაციის მესვეურებმა ვერც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისა და შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების ოქმები გვიჩვენეს.

ერთი სიტყვით, აბაშის რაიონში მოწინავე მექანიკური ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივიდან თითქმის აღარაფერია დარჩენილი, ამიტომაც გვიკვირს, ს. კიზირია ასე თავგამოდებით რას აქებდა რაიონულ გაზეთში.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

აბაშა.



შუა ურალში ზამთარი დადგა. სათხილამურო ბაზებმა უკვე გაუღო კარი პირველ სტუმრებს.

ს უ რ ა თ ზ ე: სვერდლოვსკის „ურალხიმმაშზავოდის“ მუშები უქტუსის მთების მიდამოებში თხილამურებით სრიალებენ.

ფ. გრახოვის ფოტო (საქდესი).

## სპორტის მოყვარულთათვის

„მოსკოვს სურს 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს. საბჭოთა ხალხი განთქმულია სტუმართმოყვარეობით. საბჭოთა კავშირის დედაქალაქი ყველა კონტინენტზე ცნობილია მდიდარი სპორტული ტრადიციებით“, — ასე იწყება წიგნი **„მოსკოვი იწვევს“**, რომელიც რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ (ავტორი-შემდგენელი ბ. ბაზუნოვი). ეს კარგად გაფორმებული და დასურათებული წიგნი მკითხველებს აცნობს მოსკოვის ძეგლებსა და ახალმშენებლობებს, მის მუზეუმებსა და პარკებს, თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებს, სპორტულ ბაზებს. წიგნში დაწვრილებითაა ნაამბობი სტადიონებსა და აუზებზე, დარბაზებსა და სასროლეთებზე. აგრეთვე, მომავალ სპორტულ მშენებლობებზე.

ორიგინალური კრებულ-ალბომის ფურცლებზე გამოდიან მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პრომისლოვი, კულტურის მინისტრი ე. ფურცევა, კავშირგაბმულობის მინისტრი ნ. პსურცევი, „ინტურისტის“ გამგეობის თავმჯდომარე ვ. ბოიჩენკო და სხვ.

„ფიზკულტურა ი სპორტმა“ გამოსცა ეს წიგნებიც:

**„ოლიმპიური ტბების ნიავი“**. წიგნის ავტორია სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ივანოვი, რომელმაც აკადემიურ ნიჩბოსნობაში ოქროს მედლები მოიპოვა მელბურნის, რომისა და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. გამოჩენილი ნიჩბოსანი, რომელმაც ზედიზედ მესამედ სპორტის ისტორიაში ერთადერთმა მოიგო პირველობა ერთადგილიანი ნავებით, გვიამბობს თავის სპორტულ გზაზე, რჩევა-დარიგებას აძლევს ახალგაზრდობას.

**„სპორტსმენის ტექნიკური ოსტატობა“**. წიგნი მოამზადა ავტორთა კოლექტივმა პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. დიაჩკოვის ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ეს კაცი გურამ მინაშვილი გახლავთ

ნარკვევი

სულ სამი წამი დასჭირდა იმას, რასაც აგერ უკვე ოცი წელია ველოდით. ალექსანდრე ბელოვმა ჭეშმარიტად ოქროს ბურთი ჩააგდო კალათში და საბჭოთა ნაკრებს ოლიმპიური თამაშების უცვლელ ჩემპიონთან — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან შეხვედრაში გამარჯვება მოუტანა.

კალათბურთი — ეს ულამაზესი თამაში — ოლიმპიურ პროგრამაში პირველად 1936 წელს შეიტანეს. იმ დღიდან მიუნჰენის ოლიმპიადამდე ამერიკელთა ჰეგემონია ურყევი იყო. ახლა კი საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა უმძიმეს ორთაბრძოლაში მეტოქესთან, რომლისთვისაც ოლიმპიური ტურნირების მოგება ერთგვარ ვალდებულებად იქცა, ძლიერ, ტექნიკურ, მტკიცე ნებისყოფის მეტოქესთან.

საბჭოთა სპორტის მოყვარულებისთვის ესოდენ სასიხარულო დღეს ვალდებული ვართ გავიხსენოთ ის შესანიშნავი კალათბურთელები, რომლებიც სხვადასხვა დროს საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ. დღევანდელ გამარჯვებაში მათი ღვაწლი დაუფასებელია. საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონები უფროსი თაობის კალათბურთელთა მდიდარ ტრადიციებზე აღიზარდნენ. მათ — ქორქიამ, ლისოვმა, ჯორჯიკიამ, პეტკიავიჩუსმა, სტონკუსმა, ზუბკოვმა, კორნეევმა და სხვებმა მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს დღევანდელ გამარჯვებას.

კაცს, რომელზეც ამ წერილში გვექნება ლაპარაკი, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში. ჩვენი აზრით, იგი ყველა დროის უძლიერესი მცველი იყო. ეს კაცი კალათბურთის იდეალია ბევრი მოთამაშისთვის, მათ შორის, საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონებისთვის. მისი ვირტუოზული თამაში მუდამ აღაფრთოვანებდა სპეციალისტებს და მაყურებლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იგი ბევრი ტურნირისა და ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დაუსახელებიათ.

ეს კაცი გურამ მინაშვილი გახლავთ.

„ვალა ტივოლის" ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა — ტარდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში. ხალხი სუნთქვაშეკრული უყურებდა დედამიწის უძლიერესი გუნდების თამაშს.

ჩემპიონატის საპატიო სტუმრებს შორის ერთი საშუალო სიმაღლის, ჭაღარაშერეული კაცი გამოირჩეოდა, რომლის სახელიც ძალიან ბევრს ნიშნავს კალათბურთის მოყვარულებისა და სპეციალისტებისთვის. ჰაროლდ ჰანა კალათბურთის ერთ-ერთი დიდი თეორეტიკოსია, ბევრი პროფესიული გუნდის მწვრთნელი, ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური ნაკრები გუნდის ერთ-ერთი მუდმივი სელექციონერი. ამ კაცის ხელში გაიარეს ბილ რასელმა და ოსკარ რობერტსონმა, ჯერი ლუკასმა და ბილ ბრედლიმ, უოლტერ ჰაზარდმა და სპენსერ ჰეივუდმა. და აი, სწორედ ამ კაცმა, როცა საბჭოთა გუნდის შედარებითი წარუმატებლობის მიზეზი ჰკითხეს, თქვა: „სსრ კავშირის ნაკრები უდავოდ ძლიერი კოლექტივია. მოთამაშეთა შემადგენლობით იგი მსოფლიოს არც ერთ გუნდს არ ჩამოუვარდება, მაგრამ უბედურება ისაა, რომ არ ჰყავს მოთამაშე, რომელიც პარტნიორთა თამაშს გაუძღვებოდა, დანარჩენებს უხელმძღვანელებდა. ერთი სიტყვით, გუნდში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი გამთამაშებლის ტიპის კალათბურთელი, ისეთი, როგორიც იყო... — აქ ჰანა ცოტა ხანს ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას იგონებსო და მერე მკაფიოდ წარმოთქვა: — გურამ მინაშვილი". და, თითქოს თავისი აღტაცების დასადასტურებლად, წმინდა ამერიკული მანერით დასძინა: „ფენტესტიქ".

„რატომ ავირჩიე კალათბურთი? სულ უბრალო მიზეზით: უნივერსიტეტის პირდაპირ ვცხოვრობდი. სკოლიდან შინ მიმავალ ბიჭებს უთუოდ უნდა შეგვევლო პირველი კორპუსის უკან მოწყობილ სპორტულ მოედნებზე. მონუსხულებივით ვისხედით და უნივერსიტეტის გუნდის ვარჯიშს ვუყურებდით. დიდხანს გაგრძელდა ასე. მარშრუტი: სკოლა — უნივერსიტეტი — სახლი თითქოს სავალდებულოდ გვექცა.

ერთ მშვენიერ დღეს ახალი ფიზკულტურის მასწავლებელი დაგვინიშნეს — ვახტანგ მარსაგიშვილი. დიდმა ენთუზიასტმა და სპორტის მოყვარულმა ერთბაშად გამოაცოცხლა სკოლის სპორტული ცხოვრება. ბიჭები სპორტულ სექციებში დაანაწილეს. ჩემზე რომ დადგა ჯერი, რა თქმა უნდა, კალათბურთის ჯგუფში ჩაწერა ვითხოვე. ასე აღმოვჩნდი შალვა დიასამიძის ხელში. ამ კაცმა მასწავლა კალათბურთის ანბანი. ჩემი აზრით, იგი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია..."

1950 წლის შემოდგომაზე თბილისის უნივერსიტეტთან კალათბურთის ჯგუფი გაიხსნა ბავშვებისთვის. ეს ნამდვილი ზეიმი იყო კალათბურთის ნორჩი მოყვარულებისთვის. ამ სიხარულს ემატებოდა ისიც, რომ ბავშვების მწვრთნელი უნდა ყოფილიყო შალვა დიასამიძე, შესანიშნავი ადამიანი, კალათბურთის საუცხოო მცოდნე, მგრძნობიარე, ჭკვიანი პედაგოგი.

ბავშვები უნივერსიტეტს მიაწყდნენ. თითქმის ყველა ვაკელი იყო — ან ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ან ერთ სკოლაში სწავლობდნენ. პირველი მეცადინეობის დაწყებამდე ბიჭების ჟრიამულმა იქაურობა აიკლო. მერე ყველანი ერთად შეცვივდნენ გასახდელში. ცოტა ხნის შემდეგ გასახდელიდან ისეთი ხარხარი მოისმა, გაოცებულმა შალვა დიასამიძემ ყველაფერი მიატოვა და ბავშვებს მიაშურა.

„შეხედე, შეხედე, კაპუსტას არა ჰგავს?" — სიცილით იხოცებოდნენ ბავშვები და ერთმანეთს კუთხეში აბუზულ ბიჭზე უთითებდნენ, ჯიუტი ქოჩორი ზედ ჭკვიან თვალებზე რომ ჩამოჰფხატვოდა. შალვა მიხვდა: კალათბურთის დარბაზი არ ჰქონდათ და ვარჯიში ეზოში ტარდებოდა. მშობლებს ალბათ შეეშინდათ ბიჭი არ გაგვიცივდესო და ისე თბილად გამოეწყოთ, რომ ბავშვი მართლაც კომბოსტოს ჰგავდა. მწვრთნელის დანახვაზე ბიჭებმა ხმა გაკმინდეს: შალვა „კაპუსტასთან" მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და ღიმილით თქვა: „აბა, მოუსვით მოედნისკენ"!

პირველი მეცადინეობა ძალიან მხიარულად ჩატარდა. განსაკუთრებით თავგამოდებული ის ჯიუტქოჩრიანი ბიჭი თამაშობდა, თუმცა დანარჩენებისგან არაფრით გამოირჩეოდა — მათსავით ხმელ-ხმელი და აწოწილი იყო. ეს კია, შეუპოვრობა სხვაზე მეტი ჰქონდა. სხვაზე კი არა, ზომაზე მეტიც.

„მახსოვს, ერთი ვარჯიში ვუჩვენე ბავშვებს, — იგონებს შალვა დიასამიძე. — რთული ვარჯიში იყო და ბიჭებმა ერთბაშად ვერ გაიგეს: დაიწყო მეორე მეცადინეობა და ისევ გაუჭირდათ. მხოლოდ გურამმა გააკეთა უშეცდომოდ, თავისუფლად. თან რაღაც თავის ელემენტებსაც უმატებდა. გამიკვირდა ძალიან. როგორც შემდეგ გავიგე, თურმე გურამი სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე ყოველ დილით მოედანზე მოდიოდა და ვარჯიშობდა. მარტო მეცადინეობდა, ცხრა პირ ტყავს იძრობდა. მიკვირდა, გურამი მაშინ ხომ თერთმეტი წლის ბიჭი იყო. მალე იგი ჩვენი პატარა გუნდის სული და გული გახდა. მუდამ მზად მყოფი, წესიერი, ამხანაგებისთვის სამაგალითო, სკოლაშიც კარგად სწავლობდა. რამდენი ხანია მწვრთნელად ვმუშაობ და ძსგავს მოთამაშეს, სამწუხაროდ, აღარ შევხვედრივარ. ამ პატარა ბიჭში ერთმანეთს ერწყმოდა მიზანდასახულობა, დისციპლინა, თავგანწირვა თამაშის დროს, ფრიადზე სწავლა. რაღა შეიძლება დავუმატოთ? არაფერი, რაც მთავარია, გურამს თავდავიწყებით, ფანატიკურად უყვარდა კალათბურთი".

* * *

1952 წელი იდგა. თბილისში კალათბურთელი ბიჭების სარაიონთაშორისო შეჯიბრება ტარდებოდა. ეს ტურნირი არც ერთ საკავშირო მასშტაბის ასპარეზობას არ დაუდებდა ტოლს ვნებათა ღელვით, ემოციებით, დრამატიზმით. ორჯონიკიძის რაიონის გუნდის შეტევებს გურამ მინაშვილი ხელმძღვანელობდა. ეს იყო კარგად შეთამაშებული, ტექნიკური, მტკიცე ნებისყოფის კოლექტივი, რომლის სული და მამოძრავებელი ძალაც გურამი გახლდათ. მაყურებელთა შორის კი ყველაზე ფხიზელი მეთვალყურე ქალაქის განათლების განყოფილების უფროსი მწვრთნელი მიხეილ კეკელიძე იყო.

„ჩემთან რომ გადმოვიდა, გურამი ფიზიკურადაც და ტექნიკურადაც უკვე მომზადებული იყო, რაშიც შალვა დიასამიძეს დიდი დამსახურება მიუძღვის. როგორი კალათბურთელი იყო? გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკით, შესანიშნავი ფიზიკური მომზადებით, გადაცემის კულტურით, იერიშის ორგანიზაციით და, რასაკვირველია, დაცვაში საოცრად სრულყოფილი თამაშით. ყველა ამ თვისების ურთიერთშერწყმამ მინაშვილი ექსტრა-კლასის კალათბურთელად აქცია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მისი ბრწყინვალე თამაში დაცვაში. საბჭოთა კალათბურთი არც ისე მდიდარია ოსტატი მცველებით. ლისოვი, ჯორჯიკია და... მეტი არავინ. ამ გვარებს შეიძლება დავუმატოთ მხოლოდ მინაშვილი. პატარა გურამს ბევრჯერ ავსებია ცრემლით თვალები, როცა მეტოქე აჯობებდა და ბურთს კალათში ჩააგდებდა. ძალიან განიცდიდა სულ პატარა შეცდომასაც კი. არა, საოცარი მოთამაშე იყო, დიდებული მოთამაშე.

ახლა სწავლაში? სკოლაში გურამმა ოქროს მედალი მიიღო და ასევე წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ყოველთვის, როცა სტუდენტებთან საუბარი მიწევს, მაგალითად მომყავს გურამ მინაშვილი — შესანიშნავი ადამიანი და გამოჩენილი სპორტსმენი".

თ. ჯაფარიძე.

(დასასრული იქნება)

## რეპლიკა

# მედლის მეორე მხარე

ამ დღეებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ფორსტერს გადაეცა მედალი „სპორტში დამსახურებისთვის". ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ბატონ ფორსტერს შეეძლო საკუთარი თავისთვის ორდენიც კი ეძლევა ჯილდოდ, ვინ დაუშლიდა. მაგრამ ამ მედალს, როგორც იტყვიან, მეორე მხარეც აქვს.

სინამდვილეში დაფნის გვირგვინით შეამკეს „რასების განცალკევებული განვითარების" ყბადაღებული პოლიტიკა ანუ რასობრივი დისკრიმინაცია აფრიკელებისა, რომლებიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენენ. ამ ქვეყანაში ხომ „სპორტის განვითარება" პირველ ყოვლისა მის სეგრეგაციას ნიშნავს. თავის დროზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტის მინისტრმა კორნჰოფმა პირდაპირ მიუთითა ამაზე, როცა სპორტულ ცხოვრებაში თეთრკანიანებისა და აფრიკელების ერთობლივი მონაწილეობა „სოციალურ სივიჟედ" გამოაცხადა. ამ შემთხვევაში სპორტი მხოლოდ ერთი სფეროა რასიზმის პოლიტიკის გამოვლინებისა, რომლითაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საზოგადოების მთელი სოციალური სტრუქტურაა გამსჭვალული. პირადად ფორსტერს, როგორც რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ამ პოლიტიკის ტერორისა და რეპრესიების გზით დანერგვაში. სწორედ ამ „დამსახურებას" გულისხმობდნენ, როცა სამხრეთაფრიკელ პრემიერს მედალი გადასცეს.

ასეთი თვითრეკლამა ფორსტერსა და მის ხელქვეითებს, როგორც ჩანს, გარემოებამ უკარნახა. აპარტეიდის რეჟიმს პრეტორიაში ისე აქვს სახელი გატეხილი, რომ ყველაზე დიდი რეაქციონერებიც კი ველარ ბედავენ აშკარად მხარი დაუჭირონ მას.

ამიტომაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები იძულებული არიან თვითონ შეასხან საკუთარ თავს ქება-დიდება.

ა. ისტომინი.

„პრავდა", 16 ნოემბერი.

# მასპინძელთა უპირატესობით

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა მოფარიკავეთა პირადგუნდურმა პირველობამ რუსთავში დიდი ინტერესი გამოიწვია. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და რუსთავის ნაკრები გუნდები.

გოგონათა ასპარეზობაში 22 სპორტსმენი ჩაება, რომელთაგან ფინალში 8 საუკეთესო გავიდა. გაიმარჯვა ტ. ქოქოშვილმა. II ადგილი ხვდა გ. მაჩკალიანს, ხოლო III — ი. ლომიძეს (ყველა — რუსთავი).

რაპირისტ ვაჟთა შორის ფინალში ყველა შეხვედრა მოიგო რუსთაველმა ბ. ჩხიკვაძემ. II ადგილზეა ლ. გვანცელაძე (ქუთაისი), III — ა. ლომინაძე (აფხაზეთი).

ესპადრონისტებში უძლიერესი იყო ი. ბეშკენაძე. II ადგილზე გავიდა ზ. ჩხიკვაძე, III — ბ. ფაჩულია (სამივე — რუსთავი).

დაშნით მებრძოლთა შორის გაიმარჯვა რ. გზირიშვილმა. II ადგილზეა ბ. ლაზარაშვილი (ორივე—რუსთავი), III — თ. მარკელია (აფხაზეთი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა რუსთავის კოლექტივმა. II ადგილი დაიკავეს ქუთაისის, ხოლო III — აფხაზეთის მოფარიკავეებმა.

რ. გაბრიჩიძე.

რუსთავი. (ჩვენი კორ.).

* * *

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.



## გასწრება, ფინიში

საკავშირო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება: დღეს ვოროშილოვგრადში ერთმანეთს შეხვდებიან „სპარტაკი" და „ზარია", ხოლო 22 ნოემბერს კიეველები შინ მიიღებენ ვოროშილოვგრადელებს და გათამაშების ცხრილიც საბოლოოდ შეივსება.

15 ნოემბერს დნეპროპეტროვსკში ითამაშეს „სპარტაკმა" და „ნეფთჩიმ". ანგარიში 28-ე წუთზე გახსნა ბაქოელმა კამალეტდინოვმა, ხოლო შესვენების შემდეგ მოსკოველმა რედინმა გაქვითა გოლი — 1:1.

გუშინწინ გაირკვა ჩემპიონატის პირველი სამეულის საკითხი. კიევის დინამოელებმა შინ ანგარიშით 3:2 მოუგეს როსტოვის ასკ-ს და, სულ ცოტა, ბრინჯაოს მედლებს მიიღებენ. მაგრამ, თუ დარჩენილ შეხვედრაში „ზარიასთან" კიეველები თუნდაც ერთ ქულას აიღებენ, ისინი ვერცხლის პრიზიორები გახდებიან.

როსტოველებთან მატჩში კიევის „დინამომ" მხოლოდ უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში შეძლო გამარჯვება. მასპინძლები მე-19 წუთზე დაწინაურდნენ ტროშკინის ზუსტი დარტყმის შემდეგ, მაგრამ ეს გოლი მალე გაქვითა პლეშაკოვმა, თუმცა, ტაიმის დასასრულამდე მუნტიანმა კვლავ დააწინაურა „დინამო" — 2:1.

მეორე ტაიმში ესკოვმა კიდევ ერთხელ აღადგინა თანაფარდობა, მაგრამ კიეველებმა მაინც გაიმარჯვეს. გადამწყვეტი გოლი კოლოტოვმა გაიტანა.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 28 | 15 | 8 | 5 | 48—26 | 38 |
| „დინ." (თბ.) | 30 | 12 | 11 | 7 | 41—34 | 35 |
| „დინ." (კ.) | 29 | 12 | 10 | 7 | 49—35 | 34 |
| „არარატი" | 30 | 12 | 10 | 8 | 38—29 | 34 |
| ცსკა | 30 | 15 | 4 | 11 | 37—33 | 34 |
| „დნეპრი" | 30 | 12 | 10 | 8 | 37—37 | 34 |
| „ზენიტი" | 30 | 11 | 11 | 8 | 44—30 | 33 |
| „დინ." (მნ.) | 30 | 10 | 11 | 9 | 27—28 | 31 |
| „ტორპ." | 30 | 11 | 9 | 10 | 31—33 | 31 |
| „დინ." (მ.) | 30 | 12 | 6 | 12 | 39—35 | 30 |
| ასკ | 30 | 8 | 10 | 12 | 31—35 | 26 |
| „ყაირ." | 30 | 6 | 14 | 10 | 23—27 | 26 |
| „სპარტ." | 29 | 8 | 9 | 12 | 28—29 | 25 |
| „კარპ." | 30 | 8 | 8 | 14 | 27—43 | 24 |
| „ლოკომოტ." | 30 | 6 | 9 | 15 | 29—48 | 21 |
| „ნეფთჩი" | 30 | 6 | 8 | 16 | 28—55 | 20 |

# ვეტერანის პრიზზე

შედგა შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩები.

პირველ გამარჯვებას მიაღწიეს სოხუმის დინამოელებმა, რომლებმაც შინ დიდი ანგარიშით (4:0) მოუგეს ლანჩხუთის „გურიას".

გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა — ბათუმის „დინამომ" წააგო გორში ადგილობრივ „დილასთან" — 0:2.

მახარაძის „მერცხალმა" დაძაბული ბრძოლის შემდეგ სძლია ფოთის „კოლხეთის" ფეხბურთელთა გუნდს — 4:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" | 10 | 4 | 5 | 1 | 9—7 | 13 |
| „მეტალურგი" | 9 | 4 | 4 | 1 | 13—10 | 12 |
| „დინ." (ბათ.) | 11 | 4 | 3 | 4 | 12—9 | 11 |
| „გურია" | 11 | 4 | 3 | 4 | 14—19 | 11 |
| „დილა" | 9 | 3 | 3 | 3 | 9—8 | 9 |
| „კოლხეთი" | 10 | 2 | 4 | 4 | 12—14 | 8 |
| „დინ." (სოხ.) | 10 | 1 | 4 | 5 | 6—8 | 6 |

## ექვსთა ტურნირი

სოჭში გრძელდება „ა" კლასის II ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირი.

ამჟამად წინ არიან კემეროვოს „კუზბასის" ფეხბურთელები, რომლებსაც 6 ქულა აქვთ. ლიდერს ქულით ჩამორჩებიან ლიპეცკის „მეტალურგი" და რიგის „დაუგავა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# შესარჩევი შეხვედრები

15 ნოემბერს კარდიფის 60-ათასიან „ნინიან პარკის“ სტადიონზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის V შესარჩევი ჯგუფის წარმომადგენელთა — უელსისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩი. შეხვედრა უაღრესად დაძაბული გამოდგა: მისი ბედი ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა, რომელიც მასპინძელთა კარში გაიტანეს ინგლისელებმა.

VIII შესარჩევ ჯგუფში შოტლანდიელებმა „ჰემპდენ პარკის“ სტადიონზე ანგარიშით 2:0 სძლიეს დანიის ნაკრებს და ახლა, ორი თამაშის შემდეგ, 4 ქულით ლიდერობენ.

IX შესარჩევ ჯგუფში, სადაც საბჭოთა კავშირის გუნდიც გამოდის, მდგომარეობა გაწონასწორდა: ირლანდიის ნაკრებმა დუბლინში ანგარიშით 2:1 დაამარცხა საფრანგეთის ეროვნული გუნდი და ახლა სამივე ზემოჩამოთვლილ კოლექტივს 2 ტურის შემდეგ 2-2 ქულა აქვს.

* * *



ინგლისისა და უელსის ფეხბურთელები ძველი მეტოქეები არიან. ეს სურათი ამა წლის 21 მაისსაა გადაღებული „ნინიან პარკის“ სტადიონზე, როცა სწორედ ზემოდასახელებული გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში. ფოტოგრაფმა საინტერესო მომენტი „დაიჭირა“: ინგლისელი კოლინ ბელი ზურგზე მოახტა თავის მეტოქე ტერი იორატს. მარცხნივ თქვენ ხედავთ უელსელ როდ თომასს, ხოლო უკანა პლანზე ასევე უელსელ ალან დურბანს. ეს შეხვედრა ინგლისელებმა მოიგეს — 3:0.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

• •

## ვერპარდ მიულერის ოთხი გოლი

გფრ-ის ნაკრებმა დიუსელდორფში გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 5:1 (2:0) სძლია შვეიცარიის ეროვნულ გუნდს. როგორც მუდამ, თავი გამოიჩინა დასავლეთ გერმანიის ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა გ. მიულერმა. ამჯერად მან ოთხი გოლი გაიტანა.

• •

## არც ერთი მოგება

როგორც ვიუწყებოდით, დიდ ბრიტანეთში ტურნეს გასამართავად ჩავიდა ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა გუნდი. იმასაც ვწერდით, რომ ლენინგრადელთა პირველი შეხვედრა ინგლისის მესამე პროფესიული ლიგის გუნდთან „საუთენდ იუნაიტედთან“ ფრედ დამთავრდა — 1:1.

მეორე თამაში ლენინგრადელებს ინგლისის მეორე ლიგის გუნდთან „სვინდონ თაუნთან“ ჰქონდათ და დამარცხდნენ ანგარიშით 2:4. „ზენიტმა“ მესამე შეხვედრაც წააგო, ამჯერად შოტლანდიის პირველი ლიგის გუნდ „მორტონთან“ — 2:3.

ტურნე დასრულდა ინგლისის პირველი ლიგის აუტსაიდერთან „კრისტალ პალასთან“ შეხვედრამ. ეს თამაში ფრედ დამთავრდა — 1:1.

ამრიგად, „ზენიტმა“ ორი მატჩი ფრედ დაამთავრა და ორიც წააგო. ბურთების ბალანსია 6—9.

• •

## სად ჩატარდება ოლიმპიადა?

ლოზანა, 15 ნოემბერი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) შტაბ-ბინაში ამერიკის ქალაქ დენვერიდან დეპეშა მოვიდა — ქალაქის მესვეურებმა უარი თქვეს 1976 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობაზე. ცნობა მოულოდნელი არ იყო: კოლორადოს შტატში ჩატარებული რეფერენდუმის დროს მოსახლეობის უმრავლესობამ უარი განაცხადა თამაშის მოწყობისთვის თანხის გამოყოფაზე.

ამავე დროს გამოცხადდა, რომ სოკ-ი ელის აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას და წინადადებას XII ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის თაობაზე. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამისი სურვილი განაცხადეს ამერიკის ქალაქებმა ლეიკ-პლესიდმა და სკვო-ველიმ, სადაც ოლიმპიური თამაშები ჩატარდა 1932 და 1960 წლებში.

შეიძლება გამოჩნდნენ სხვა პრეტენდენტებიც. სოკ-ი განაცხადებს 1973 წლის 15 იანვრამდე მიიღებს. ცნობილია კიდევ სამი ქალაქი, რომლებიც უარს არ იტყოდნენ 1976 წლის თეთრი ოლიმპიადის ჩატარებაზე: ვანკუვერი (კანადა), გრენობლი (საფრანგეთი), ინსბრუკი (ავსტრია).

საკითხი 1973 წლის თებერვალში გადაწყდება სოკ-ის მორიგ სესიაზე. (საკდესი).

## კავშირი გაწყდა

ამ დღეებში 34 წლის იაპონელმა კ. ხორიემ დედამიწის ირგვლივ ეულად მოგზაურობა დაიწყო. ახლა მის ნავთან „სირინოზი-2“ კავშირი გაწყდა. იაპონელმა მოასწრო ეცნობებინა, რომ ნავს ანძა გაუტყდა. ჯერჯერობით დაკარგულს უშედეგოდ ეძებენ.

კალათბურთი

## ხუთი ტაიმის შემდეგ

## სარეკორდო ანგარიშით

ათენი. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მატჩი ადგილობრივი „ოლიმპიაკოსისა“ და ჰოლანდიის „რააკის“ ვაჟთა გუნდებს შორის. საინტერესო იყო ეს მატჩი იმით, რომ ბრძოლისთვის განკუთვნილმა რეგლამენტმა უძლიერესი ვერ გამოავლინა: პირველი მატჩი ბერძნებმა სტუმრად ჩაატარეს და 20 ქულით წააგეს (68:88), თავის მოედანზე კი „ოლიმპიაკოსმა“ გაიმარჯვა... 20 ქულით (89:69).

შეჯიბრების დებულების თანახმად დაინიშნა დამატებითი ტაიმი. აქ კი ბერძენმა კალათბურთელებმა იძლავრეს, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 107:77.

ანტვერპენი. ჩემპიონთა თასის გათამაშების მომდევნო ტურში ადგილობრივი „რესინგის“ ვაჟთა გუნდი გავიდა. მართალია, პირველი მატჩი პორტუგალიის „ბენფიკასთან“ მან დათმო (83:86), მაგრამ განმეორებით ორთაბრძოლაში აშკარად ძლიერი იყო — გაიმარჯვა ანგარიშით 120:80 (63:42). წლევანდელ ტურნირში ეს ანგარიში ჯერჯერობით სარეკორდოა.

კრივი

## იანვარში კინგსტონში

### რინგზე გამოვლენ ფრეზიერი და ფორმენი

მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ჯო ფრეზიერი იამაიკაში ჩავიდა, რათა მომავალი ბრძოლის ორგანიზატორებს მოელაპარაკოს. როგორც ცნობილია, ფრეზიერმა თავისი ტიტული უნდა დაიცვას ჯორჯ ფორმენთან შეხვედრაში. გადაწყდა, რომ ეს ორთაბრძოლა იანვარში გაიმართოს კინგსტონში.

(საკ. ინფ.).

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### იტალია

ჩემპიონატის V ტურის შემდეგაც ვერ გაირკვა ერთპიროვნული ლიდერი — პრეტენზიას აცხადებს ოთხი გუნდი: „მილანი“, „რომა“, მილანის „ინტერნაციონალე“ და რომის „ლაციო“. ყველაზე დიდი იმედი აქვს „რომას“ მწვრთნელ ე. ერერას (გასულ კვირას მას მეშვიდე შვილი შეეძინა!), რომლის აზრითაც წლეულს „რომა“ უდავოდ მოიპოვებს ჩემპიონობას.

საუკეთესო სნაიპერია ჯ. რივერა („მილანი“) — 6 გოლი.

აი, მოწინავე ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 5 | 17—5 | 8 |
| „რომა“ | 5 | 11—6 | 8 |
| „ინტერი“ | 5 | 3—0 | 8 |
| „ლაციო“ | 5 | 6—3 | 8 |
| „ნაპოლი“ | 5 | 6—1 | 7 |

### გფრ

გათამაშების XI ტურში მიუნხენის „ბაიერნმა“ მორიგი გამარჯვება იზეიმა — სტუმრად დაამარცხა „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ — 2:0. I ლიგის დებიუტანტმა „ვუპერტალმა“ გელზენკირხენში მოუგო ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — ადგილობრივ „შალკე 04“-ს (2:1) და ახლა ლიდერთა ჯგუფშია. უეფა-ს თასის გათამაშებაში ერევნის „არარატის“ მომავალი მეტოქე „კაიზერსლაუტერნი“ „ბოხუმთან“ ქულის დაკარგვის შემდეგ (2:2) XI ადგილზეა.

პირველი ხუთეული:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 11 | 28—4 | 19 |
| „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) | 11 | 26—18 | 16 |
| „შტუტგარტი“ | 11 | 22—17 | 15 |
| „ვუპერტალი“ | 11 | 18—12 | 13 |
| „ბოხუმი“ | 11 | 17—17 | 13 |

### საფრანგეთი

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა „ნიცამ“ მორიგ ტურში ფრედ ითამაშა ლიონის „ოლიმპიკთან“ — 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნიცა“ | 14 | 40—15 | 24 |
| „ოლიმპიკი“ (მარსელი) | 14 | 26—9 | 18 |
| „ოლიმპიკი“ (ლიონი) | 14 | 20—17 | 18 |
| „სენტ-ეტიენი“ | 14 | 23—16 | 17 |

### პორტუგალია

მორიგი ტურის ცენტრალური შეხვედრა მოეწყო ლისაბონში, სადაც ერთმანეთს ეთამაშნენ ადგილობრივი „ბენფიკა“ და „პორტუ“. დაძაბული ბრძოლა „ბენფიკის“ გამარჯვებით აღინიშნა — 3:2. ახლა ეს გუნდი თვალსაჩინოდ დაწინაურდა: მას 18 ქულა აქვს, II ადგილზე მყოფ „ბელენენსეშს“ კი მხოლოდ 13.

### ბელგია

მორიგ ტურში „ბეერსკოტმა“ შინ მოუგო „ბრიუგეს“ (2:1), „ანდერლეხტმა“ კი წააგო „იუნიონ სენ-ჟილუაზთან“ — 0:1.

14 ქულით ლიდერობს „ბრიუგე“. II ადგილზეა „ანდერლეხტი“ — 11 ქულა.

### ესპანეთი

7 ტურის შემდეგ I ადგილზეა „ბარსელონა“ — 13 ქულა. „რეალ სარაგოსამ“, რომელიც წლეულს დაუბრუნდა I ლიგას, შინ ფრედ (0:0) ითამაშა „რეალ მადრიდთან“ და II ადგილზე გადაინაცვლა.

შარშანდელი ჩემპიონი „რეალ მადრიდი“, რომელმაც ერთობ უხეიროდ დაიწყო ჩემპიონატი, გათამაშების ცხრილის შუაგულშია.

### შვეცია

ჩვენ ვიტყობინებოდით, რომ ქვეყნის ჩემპიონის წოდება „ატვიდაბერგმა“ მოიპოვა. ბოლო XXII ტურში მან უკვე ამ უმაღლესი ტიტულის მფლობელის რანგში წააგო შეხვედრა სტოკჰოლმში ადგილობრივ აიკ-თან — 1:2. შარშანდელმა ჩემპიონმა „მალმიომ“ მხოლოდ IV ადგილი დაიკავა.

აი, საბოლოო ცხრილის პირველი ექვსეული:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ატვიდაბერგი“ | 22 | 65—22 | 33 |
| აიკ (სტოკჰოლმი) | 22 | 41—24 | 32 |
| „ესტერი“ (ვაქსიო) | 22 | 37—24 | 26 |
| „მალმიო“ | 22 | 27—26 | 23 |
| „ერებრო“ | 22 | 31—30 | 23 |
| იფკ (ნორჩიოპინგი) | 22 | 34—34 | 23 |

### დანია

ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში პირველი ხუთი ადგილი ასე განაწილდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვეილე“ | 22 | 65—33 | 33 |
| „კოპენჰაგენ 1903“ | 22 | 43—32 | 27 |
| „ნესტვედი“ | 22 | 43—41 | 26 |
| „ნიუკობინგ 1901“ | 22 | 52—39 | 23 |
| „რენდერსი“ (ფრეია) | 22 | 39—35 | 23 |

## საკუთარი ინფორმაცია

19 45

◆ რიგა, 17 ნოემბერი. ასუჯრიან შაშში აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში სამი ტურის შემდეგ დაწინაურდა საერთაშორისო ოსტატი მ. შაველი. მან მოუგო ნ. გულიაევსა და ნ. მიშჩანსკის, ნ. კორხოვს კი დაუზავდა. ლიდერს 2,5 ქულა აქვს. შაველს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ქვეყნის ჩემპიონი ა. ანდრეიკო, მოსკოველი ვ. აგაფონოვი, ა. ბეზვერშენკო, ლ. ციპესი და ა. განტვარგი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ი. კუპერმანს 1,5 ქულა დაუგროვდა 2-დან. პირველ ტურებში მოშაშეები ერთობ აგრესიულად თამაშობდნენ, თითქოს შაშის „საყაიმო სიკვდილზე“ ლაპარაკის გაქარწყლება სურდათ: 29 პარტიიდან 11 შედეგიანი გამოდგა.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

## თბილისი სპორტულ ბაზაზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 18 ნოემბერი. „ისნის“ სტადიონი. „იხანი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი). დასაწყისი 15 ს. 19 ნოემბერი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია). 12 ს.

ძიუდო. სპორტის სასახლე. 21-25 ნოემბერი. ამიერკავკასიის I მევობრული თამაშების პროგრამით. დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.
უე 02754